ოთხშაბათი, 2 აგვისტო, მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე | № 31 — 1915

ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

ნიავო, სასტიკ ბრძოლის დროს,
თუ დაუქროლებ თხრილებსა:
ვაჟას სიკვდილიც უამბე
ომში გაგზავნილ შვილებს

—

დაე, იმათაც იგლ
ცხარე ცრემლების
დაკარგვა სულის
უკვდავი სიმღერებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი და ცხოვრების

რ ე დ ა ქ ც ი ა

ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველებს, რომ შაბათს, 27 ივლისს, საღამოს 7 სათზე წმ. ნინოს ღიაზარეთში მძიმე ავდმყოფობით

გარდაიცვალა სამშობლო პოეზიის

თვალი

ვაჟა-ფშაველა

(ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი)

დაკრძალულ იქნება ქართველი ერის მიერ დღეს, 2 აგვისტოს, დიდუბის ტაძართან ქართველთა პანთეონში. მიცვალებული ქაშვეთის კლესიაშია.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხეიდის
ბრ. № 131

საუცხოო საზაფხულო რეტორნდი, სტენიო და მშვენიერი, ელექტრონით განათებული, ბადით.

პარასკევს, 31 ივლისს	სინემატოგრაფი და საზნდარი
შაბათს, 1 აგვისტოს	კონცერტი ბროუკის მონაწილეობით
კვირას, 2 აგვის.	მანდოლინისტების გუნდი
ორშაბათს: 3 აგვის.	სინემატოგრაფი; საზანდარი
სამშაბათს 4 აგვის.	კონცერტი ი. სარაჯიშვილის მონაწილეობ.
ოთხშაბათს 5 აგვის.	ქართული წარმოდგენა, ორკესტრი
ხუთშაბ[illegible]	[illegible] სინემატოგრაფი ორკესტრი
[illegible]	[illegible] ზანდარი

[illegible]

[illegible]ფასები — 20 [illegible]
[illegible]ი ადგილი — 5 — 9 ს.

№ 31

ფასი ერთ ნომერი 5 მ., ნახ. ₾.3 მ., 1 თვ. 40 კაპ ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სოროპანის“ სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საბეჭდისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სოროპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

№ 31 ᲙᲕᲘᲠᲐ, 2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1915 Წ.

† ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲘ ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

უკანასკნელი პირველთაგანი

ბუნებისა და კაცთა მოცაქული დადუმდა... დადუმდა ენა-ვარდოსანი, გრძნობა-მაღალი, ფიქრ-უძირო, დიდი მხატვარი, უტყვ-მეტყველთა მესაიდუმლე...

ᲙᲔᲛᲨᲐᲠᲘᲢᲘ ᲛᲒᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲜᲒᲚ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲪ ᲒᲐᲣᲬᲣᲧᲓᲐ...

ქართველ პარნასელთა ჩანგი უპატრონოდ გდია ძირს...

ვინ, ვინ მოჰმართავს ისე ღირსეულად?..

ვიღა იხმარებს მის იარაღს მისებრ „ᲔᲠᲗᲒᲣᲜᲯᲘ, ᲔᲠᲣᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ?!“

აღარ გვყავს უკანასკნელი პირველთაგანი პოეზიაში...

აღარ გვყავს ვაჟკაცი, რომელს ამკობდა „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲢᲠᲝᲤᲔᲐᲚᲘ“, რომელიც „ᲨᲔᲣᲓᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲘᲛᲠᲯᲕᲔᲑᲓᲐ ᲙᲔᲚᲔᲡᲘᲡᲐ“ და ტკბილს სგალობელს აღავლენდა ზეცად:

„დერთო, სამშობლო მეტო�dა,
ტანჯულ ქართველი ერთოს!“

აღარა გვყავს ვაჟა, მთის ლაღი შვილი, ლაღად მომღერალი, ერის ნაღვლით დაკემსილი, ხალხის წამების ემბაზში განბანილი, სამშობლოს ბრწყინვალე მომავლის ნატვრაში სულდალეული, ჩვენი დანავსული ბედის მკითხავი...

აღარ გვყავს ის, ვისაც

„ᲒᲣᲜᲯᲘᲡ ᲔᲡᲕᲔᲜᲐ ᲛᲗᲐ-ᲛᲗᲐᲜᲘ,
ᲓᲐᲑᲠᲬᲧᲝᲜᲓᲐ ᲓᲔᲠᲗᲝᲗᲐᲜᲐ!
ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲜᲔᲑᲓᲔᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ
ᲔᲓᲒᲐ ᲡᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲐᲓᲐ!“

დღემდე თუ მთით მომღერალი, საქართველოს მაღალ მწერალებს მიკრული არწივი, მაღლით ჩამოგვმღეროდა და გრძნობა მიყუჩებულთ, აზრ-დაკარგულთ მჭექარე ხმით, მდიდარ სურათოვან გამოთქმებით უკეთესი ცხოვრების მოპობისკენ მიგვიწოდებდა, ჩაგვჩიჩინებდა: როგორ გვეზრუნა მამულისა და ხალხის საკეთილდღეოდ, რა გზით გვევლო, რომ ბრწყინვალე დღის გათენება მალე გვღირსებოდა, დღეის შემდეგ მკვდარი ცოცხლებს გვიმოძღვრებს—თვისი შემოქმედებით გაგვიწევს მოციქულობას კაცთა შორის და ღმერთთან, რომ ღვთაებამდე აღგვამაღლოს...

იყავ კურთხეულ სახელი მისი!.. მადლიერი სამშობლო და ყველა ის ერი, რომლისთვისაც კაცთა გაადამიანება, ჩაგრულთა ზეწამოდგომა რიმე ღირებულობას წარმოადგენს—ვაჟას გულს ჩაიხუტებს საუკუნო სახსენებლად და გზის მაჩვენებელ ლამპრად!..

ᲛᲝᲛᲒᲔᲚᲝᲛ ᲩᲔᲛᲝᲛ!

ჯერ ცრემლი არ შეგშრობია, ილიას დანაკლისი ვერ მოგინელებია და აკაკის სამარისთვის რიგიანად მიწა არც-კი მიგიყრია, ბრძოლის ველზე ასი-ათასობით გმირულად დახოცილნი შვილნი არ გამოგიგლეჯია, რომ შენი ერთი საამაყო შვილთაგანი ხელიდან გამოგეცალა!..

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისღა შეაჩერებ თვალსა და გულს, ვიღა გეყოლება მანუგეშებლად?..

მაგრამ წარბი არ შეიხარო: ბედი გცდის და მტერი წორით შემოგყურებს სულით დაეცემა თუ არაო!..

სულით დაცემა-კი ხომ იგივე სიკვდილია!..

არა და არა! სულით დაცემა ჯაბანთ წესია,—შენ არ შეგფერის! ..

არა, არ დაეცემი სულითა ორაც უნდა ცა მრისხანებდეს, ხევ ხევი ირეგვნებოდეს!..«

ტანჯვა, წამება, უამრი ზარალი ხომ შენი ხვედრია—თანდაყოლილი ხვედრი, შენი სამესი ხომ საუკუნებრივი განუძარცველი ძაძაა, ჭირ ვარამს ხომ ოდითვე ხარ შეჩვეული და მაშ ნუ იგლოვ, ნურც ქედს მოუხრი ამ უეცარ უბედურებას, - გრწამდეს, რომ ეგოდენი ეროვნული მსხვერპლი—სულიერი და ხორციელი ტანჯვა-ვაება უქმად არ ჩაგივლის!..

შენი მზიურობის მომღერალთა შეუდრეკელი სულის სწრაფვა არ გაცუდდება...

შენ-კი, ძვირფასო ვაჟა, ჩვენი მთლიანობისა და ერთობის მქადაგებელო, ლაჩრად ქმნილთა გმირული სულის შთამბერველო, შენის ზენაარი შემოქმედებით უკვდავ ქმნილო, მშვიდად განისვენე დიდებულ დიდუბის სავანესა შინა იმ ღრმა რწმენით, რომ შენგან გავლებული კვალი არ წაიშლება: ამ კვალს მრავლად გაჰყვებიან შენთა მისწრაფებათა აღსასრულებლად...

მშვიდობით, წამებული სამშობლოს უებრო ჭირისუფალო!..

იოსებ იმედაშვილი

ნერილი მთიელებს

(ვაჟა-ფშაველს გარდაცვალების გამო)

იგლოვეთ, ლაღნო მთიელნო,
ძაძით შემოსეთ მთა-ველი,
აუწყეთ თუშ-ფშავ-ხევსურთა:
აღარ გყავთ ვაჟა-ფშაველი!..
აღარ გყავთ მთისა ჭირვივი,
თავსა რომ გედგათ ფარადა;
ბედმა უმეხთლა უდროოდ,
აქ განისვენებს ბარადა;
მოხედეთ, თემნო მთიელნო,
თქვენსა შვილს პირად მზიანსა,
თქვენთვის მარადის მკვნესარეს,
მჭევრ-მეტყველ, ენა-წყლიანსა.
ტიალ სიკვდილმა დასძლია,
ვეღარა ხმარობს კალამსა,—
თქვენთვის ჩამქრალი სანთელი
მით ვეღარ გაძლევთ სალამსა!..

გ. შინატეხელი

გუნების მესაიდუმლე

† **ვაჟა-ფშაველა**

(დუკა ბაგლეს ძე რაზიკაშვილი)

(1861—1915)

„...გულ ზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა...
საკეთილ-ღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა...
ეხლა თავ-თავ ქვე მიდიგარ,
ხევში მიმელის ბნელია ..
.. წამლობას ვეღარ გამიწევს
ეხლა ცრემლები მწველია!“..

ვაჟა-ფშაველა

ლუკა რაზიკაშვილი, მწერლობაში ვაჟა ფშაველს სახელით ცნობილი, მწერალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახის შვილია—მამა მოლექსე ჰყავდა, უფროსი ძმა გიორგი ბწიგნობარი, უმცროსი ძმანი ბაჩანა და თედო. სახელგა-თქმული მგოსნებია ლუკა დაიბადა 1861 წ. ღარიბ დედ-მამის ოჯახში. მამა მისი პალე ჯერ სოფლის მედავითნე იყო, შემდეგ მღვდლობა

ვაჟა-ფშაველა, ჯვალმოფფობის დროს წმ. ნინოს ლაზარეთში და მისი მომფლელნი მოწყალების დანი.

მიიღო და თვის სოფელშივე გამწესდა. სწავლა დაიწყო სასულიერო სასწავლებელში, გაათავა გორის საოსტატო სემინარია და თავის სოფელში მასწავლებლად გამწესდა; რამდენიმე ხნის შემდეგ პეტროგრადს გაემგზავრა, უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა, ამავე დროს ‖ გონებას ივითარებდა წიგნების კითხვით. სიღარიბის გამო სამშობლოში დაბრუნდა, მცირე ხანს ქ. ს. წ. კ ს-ბის თონეის სკოლაში მასწავლებლობდა, დაცოლშვილიანდა, დაუბრუნდა სამშობლო სოფელს, სტეოვრობდა შინა მეურნეობით და ამავე დროს მწერლობდა, ხანდისხან თბილისს ჩამოხდადა ხოლმე თვისი ახალი ნაწერებით..

სამწიგნობრო მოღვაწეობა მოწყფობა. დანვე დაიწყო 16—17 წლისამ, მაგრამ ნიჭიერი მწერლის სახელი დაიმსახურა 1884 წ. როცა დასწერა „შვდის ნუგეის ნაამბობა“, „მოხუცის მოთქმა“ და სხვა პოემა მოთხრობანი და მალე პირველ ხარისხოვან მწერლად იქმნა აღიარებული..

სწერდა წვრილ ლექსებს—სიმღერებს, პატარა პოემებს, საზოგადოებრივ საკითხთა შესახებ წერილებს, მთიელთა ზნე-ჩვეულებათა აღწერილობათ, მაგრამ იგი უმეტესად ცნობილია ვითარცა დიდი სახალხო მგოსანი—თითქმის ყველა მისი ნაწარმოები ხალხური (უფრო თუშ-ფშავ-ხევსურთა) კილოთია დაწერილი, ხალხურ ამბებზე აგებული, ხალხურის სიბრძნით გაჟღენთილი, უტყვ-მეტყველ ბუნების სიდუმლოებათა ძლიერი განმსაზღვრელი..

სგანი მისი ნაწერებისა მამულის სიყვარულია, ბუნებისა და ადამიანთა იდუმალ ზრახვათა დასურათება; მათი ურთერთ სულიერ კავშირის გამომეღენება.

ვაჟას ნაწერებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. აქ დრო და გარემოება ხელს არ გვიწყობს დავახასიათოთ ვაჟას შემოქმედება, მხოლოდ მსუველთ მიუთითებთ ილ. ფერაძის წერილზე („ბახტრიონი“.—„თ. და ც.“ № 20—24).

მისი ნაწერები ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული. ცალკე გამოცემულია „თხზულებანი“ (ერთი ტომი, „საყმაწვილო მოთხრობანი“, „ამოდის, ნათდება“, „ცრემლები“ (ლექსთა კრებული), „ბახტრიონი“ და სხ. სხვილ პოემათაგან „ბახტრიონს“ გარდა მოსახსენებელია „გოოთურ და აფშინა“, „ბეველის მუმალი“, „ეთერი“, „სისხლის ძიება“, „ალუდა ქეთელაური“, მრავ. წერილ-მოთხრობანი და სხ. დაწერილი აქვს ერთი პიესაც ხევსურთა ცხოვრებიდან („მოამბეშია“ დაბეჭდილი); დარჩა დაუთავრებელი ნაწარმოებნიც...

სამი თვის წინად თბილისს ჩამოვიდა სამკურნალოდ; ამ შემთხვევით ისარგებლა ქართველმა საზოგადოებამ და მწერალს 35 წ. სამწერლო მოღვაწეობის პატივსაცემლად 23 მაისს დღესასწაული გაუმართა. ამის შემდეგ ლოგინად ჩავარდა: ჯერ თვისი ძმის სანდროს სახლში იწვა, მერე წმ. ნინოს ლაზარეთში საუკეთესო ოთახში მოათავსეს, საუკეთესო ქართველი ექიმნი ჰკურნავდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა კუბოში

მხატვ. სიდამონ-ერისთვის მიერ დახატული

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა მაინც ხელიდან გამოგვაცალა... არა ერთგზის შემოგვხვევწნია მგოსანი--კაცო, გამიშვით მთაში, თავისუფალ ჰაერზე და ღმერთი, სჯული სიკვდილი ვერას დამაკლებსო!..

ვი რომ ეს თხოვნა ვერ შევუსრულეთ და სიცხეში გამოხარშული, ჯერ კიდევ შუახნის კაცი (54 წ.) 27 ივლისს, ორშაბათს, საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა. დარჩა ცოლი და შვილები: ლევანი, თამარი, ბარიამი და ვახტანგი.—

მგოსნის პიროვნების დასახასიათებლად, წინად თუ მისი ავადმყოფობის დროს გაგონილ-განცდილი ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის დრო არ არის...

ვაჟა ჩვენ მგოსან-მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც ჩანგი თვისი მხოლოდ და მხოლოდ ერის გამოსაფხიზებლად, ხალხში მოქალაქეობრივ ჰანგთა გასავრცელებლად მოჰმართეს. ნ. ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახ.ორბელიანები,რაფაელი, ილია და აკაკი,-ეი პოეზიის ის ბუმბერაზნი, რომელთა მრწამსი და ნაღვლი მამულისა და ბეჩავი ერის, ხალხის მწარე სიმღერა იყო. ვაჟაც ამათგანია, მაგრამ იგი კიდევ უფრო მაღლა სდგას, ვითარცა ბუნების მესაიდუმლე და ცხოვლად მხატვარი... ამ მხრით ვაჟა შეუდარებელია და ღრმა კვალიც გაავლო ჩვენს მწერლობაში...

ჩვენის ქვეყნის ხვედრ თ გულდათუთ ქული მოსთქვამს:

„უინულდი მაწყვს მეინაგი, სკკუთარის ღეთის ტკბილი ხმა ეურს მეწვეოება ადარა!“ —

და მთელი თვისი სიცოცხლე სამშობლოს უკეთესის მოლოდინში იყო, მაგრამ:

„...ბეედით—არ მოხვედ მთვარეო,
ტრეშდი წინ კვიდგ კუბედ,
შავი მოერტეო ნისდები
ჩვენს უბედურს ბედს ზდუდედ.
ვსტირით, ტირიდი არას კვშვედს,
დავეტურავო ნადვედის ზდვაშია;
შინა არ გვებინავებ,
არც კვასვენებენ კარშია.
ჩამწარდა ჩვენი სიტოტხდე
ეოვედვან მთა და ბარშია.
მკდავტ კვტედდა, ბონებატ,
ჩვენთვის ორიეე მკვდარია.
ეკავ-ეორნის სბუდრად იქცა
ჩვენი სახდი და კარია.
მოვემწუვდით ორ წუალ შუაში,
ადარსდ ჩვენში ნავია;
დაკვაწვა თავზე დრუბედი.
როკორც ნახშირი, შვია;
არ ვიცით ჟამ-კარ არეუდი,
სით დავსხწითთ თვია“...

„სოფლის წყლულებით განსენილი“ თავისი „ველური, მაგრამ ლამაზი სტვირითა“ ძველებურ გმირთა ვაქაკაცობის, ქველობისა და მამულისათვის თავდადების აღწერითა ცდილობდა თანამედროვეთა აღფრთოვანებას, მამულისა და ვინაობის დასაცავად თავგამოდებისათვის:

„სამშობდოს არვის წავართმევო,
ჩვენც ნურვინ შეგვეტდება!“

იგი ჰხედავდა, რომ „ეკეთილი ბოროტისაგან ძლეულა“.—„ჩვენს მამაპაპეულს სახლს ჩამონგრევია ჭერია, ცეცხლი ჩამქრალა კერაზე და ჩვენი სახლ-კარი ბოროტს სულ დაუპურია!..

საკუთარ კერაში-კი ცეცხლის გაღვივება თვითმოქმედებით შეგვიძლიან—სხვისა შეეურვებით არაფერი იქნებაო!.. და ჩვენის ქვეყნის მომავალს ღრმა რწმენით შეჰყურებდა:

„ნისდებში კეხვეუდია,
ოდნავად ბეუტავს კარსკვლავი,
ვედარ ვეშორებ თვდებსა!“

როგორც კერძო ადამიანთა, აგრეედვე საზოგადოდ ერთა შორის დამყარებული უსამართლობაა მრავალი უბედურობის მიზეზი... კაცთა ბედნიერებისათვის საჭიროა მისი მოსპობა... მაგრამ ადამიანნი არა თუ ურთიერთს ეპყრობიან უსამართლოდ, არამედ თვით ბუნებას,რომელთანაც კეთილი განწყობილება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანდობა თვით ადამიანთა ბედნიერებისთვისაა საჭირო...

ვიხაკ სურს ბუნების საიდუმლოებთა შეცნობა, წაიკითხოს ვაჟას შემოქმედებანი...

მას ჭიაკ-ი ებრალებოდა, უნდა საქონელი ხე და მცენარე, მათი უბედურობით „ტრემდება მოსდოდა“, მათს ჭირსა თუ ლხინს კანიდდა და ჩვენტ გვაგრძნობინებდა...

სძაგდა „უშინაარსო სიტყვიერ ოხერტალ“, უყვარდა „საგმირო ჭანგები, სიტყვა და ანბავ ციური!“ თქმასთან ერთად საქმეც და „მოძმენ ერნების სამოდენ სწადდა, იმათ გრძნობათა და ფიქრთ დიდობა!..“ ამ მიზანს სიკეთდამდა არ უმტკუნა და ბერნათდად ადასრულა „გმირმა გმირული ვალი!“ სამარის კარამდე „შშობელი ქვეყნის წამდა“ იყო და ამატომაც სიტყვიერ ფიფა, დდეიდნ-კი საუკუნოდ:

„დდგა ცა ქვეყნის შუა კედ-ოუდრეკელ სვეტადა!“

ვაჟას ღირსეული ადგილება მომავლის საქმეა... მისი მწერლების სხვა მრავალ მხარის გაშუქება უცებ მოუხერხებელია: დადგეა ბა დრო და გაარკვევენ,—ჯერჯერობით კი ვინურვოთ, რო ჩვენიმ მოზარდი ითაობა და ხალხი უმეტესის ხალისით დასწაფებოდეს ამ ჩვენი მწერლების გოლიათის ნაწარმოებთ: ამითი ბევრს ისწავლის და გრძნობა-გონებით განსპეტაკდება... **იოსებ არიმათიელი**

სამშობლოს გმირი

(გაგრძელება. იხ „თ. და ც.“ № 28)

დადგა ხუთშაბათიც.

მაისის მშვენიერი ღილა იყო. ამომავალს მზეს ოქროს ფერად შეეღება აკარა-გურიის მთების თოვლიანი წვეროები და მორცხვად ამოეპეკიტა სომლიის მთიდან. მდაბლობებში ჯერ კიდევ კარგად ვერ ეძლია დღის სინათლეს და ვერც გაეფანტა სიბნელე, რომელიც იმალებოდა ტყეების მწვანე ბურულში მთების ტყიან კალთებზე ქურდულად მიიპარებოდენ თეთრი ნისლის ნაგლეჯები. სუფთაცის სივრცეზე მხოლოდ ორ-სამს ალაგას იყო ატუზული თეთრი ღრუბელი; როცა მზემ ამოაშუქა, ამ ღრუბელს თითქოს ცეცხლი მოეკიდა—ისე გაწითლა მზის სხივებმა. სუფთა და გრილი იყო ჰაერი. ჭკუთოდა ღილის ციცი ნამით პირდაბანილი ნაზი ცა და მოუთმენლად ელოდებოდა, რომ მზე ჩქარა ასულიყო ზევით და ჩაჰკროდა მას გულში. მდინარე სუფსა უცნაურ გვლილვით მიიკლაკნებოდა ამწვანებულ მინდორ-ველზე და მრისხანედ ზუოდა: თითქოს სწყენია გათენებაო.. ცის სივრცეში შემალულიყო საიდღანაც გამოჭრილი მთის არწივი და საზარის ხმით დაჰკიოდა სოფლებს.

კესარია, სანდრო და ბენია ამ დროს გზაზე მიდიოდენ. სადგური თორმეტი ვერსით იყო დაშორებული სოფელზე.

კესარია მორთულიყო კიდეც: შეეღებგადაეშანთურებინა ფარბები, დაებანა პირი ჩირქ-უმარულით, ჩაეცვა საგარეოდ შენახული თეთრი კაბა, თავზე მოეხვია აბრეშუმის ბაღდადი, ივანესგან საგვირგვინოდ მოტანილი, ღორის ქონით გაეწმინდა გაეშავებია წულები... ამაზე უფრო სასიხარულო შემოთხვევა სხვა რაღა უნდა ყოფილიყო: ცხრა თვის უნახავს ქმარს ელოდებოდა.

— კი იქნება ახლა ივანე მიჩვეული წითელ-ჯვარიან ქალებს, მარა მე იგენს მაინც ვაჯობებ; ეხუმრებოდა ის თავის თავს და ვაჟკაცურად მკერდ გაშლილი მიიჩქაროდა.

სანდრო და ბენია უკან მიჰყვებოდენ დედას და ერთი მეორეს უზიარებდენ თავის აზრს მამის ნახვის შესახებ.

— ძაან გაუხარდება ბაბასაც ჩვენი ნახვა, მარა ფეხ-შიშველები რომ ვართ, აი კი შეარცხვენს პაწას .. იგი ხომ ჯვარიანია ახლა,—სთქვა სანდრომ.

— სკვინჩ-სკვინჩ! სკვინჩ სკვინჩ!—რაღაც დაჟინებით იძახდა ჩიტი სკვინჩა და ხიდან ხეზე ფრინდებოდა, თითქოს არ უნდა ჩამორჩეს მგზავრებსაო.

— რა უნდა ნეტაი ამ დაღუპულს სკვინჩას ეა? სანდრო არტყი ერთი მაგას ქვაი,—უთხრა ძმას ბენიამ.

— ჩვენ მშვიდობა, გამარჯვება—სკვინჩას თავი წავარდება, ჩვენ მშვიდობა, გამარჯვება—სკვინჩას თავი წავარდება!—შეულოცა სანდრომ და შესტყორცნა ქვა.

როგორ შეეძლო სკვინჩას დაეძახა იმათ ეზოში,—წყევლა-ვაებით სდევნიდნენ ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვები; იკივლებდა თუ არა ჭოტი ზამთრის ღამეში, იმასაც ულოცავდნენ:

— ბუს კუჭი სტკივა, ბუს კუჭი სტკივა.

ვაი იმ ძროხას ან ხბოს, რომელიც შეაბღავლებდა რომელიმეს ოჯახში: კეტით სულ სისხლს ადენდნენ.

ერთი სიტყვით, სასტიკად ებრძოდნენ ყველა იმას, რაც, მათი აზრით, უბედურების წინამორბედი იყო, რომ უბედურებაც თავიდან აეშორებინათ.

ერთ დილას წყეულმა ქათამმა მთელი სახლი დააღონა: შეფრინდა ლობეზე, წაიგრ-ძელა კისერი კესარიისაკენ და მაშინვე ბევრ დაიყივლა. ბევრი სცემეს იმას ბავშვებმა და ბოლოს კიდეც დაჭლეს, მაგრამ საწყენი ამბავი მაინც ვერ აიცილეს: ადრე მოვიდა წერილი, რომელშიაც ივანეს დაკრის შესახებ ეწერა

— იმ მოქვის ყვიტილი ტყუილად არ ყოფილაო.—სთქვა სანლრომ.

..... — გამეიარეთ, ბაღნებო, ჩქარა!—მოაძახა დედამ და სამივემ ნაბიჯს უმატეს.

გაბრიელ გოგუაძე

(შემდეგი იქნება)

ქართველი კუპრინის „ორმოში“ („Ям“)ა

(დასასრული. იხ. „თ და ც.“ № 30)

ეი ეს დიტურატურული მშვენიერება გაჯიანურებულიან ან „რომანსან“, და „Нива“ სიხუტრად ეროგების მრავალ-რიცხოვან ხელის მომწერლების მთელს რუსეთში!

სარისკეთოებზე ბ. კუპრინისკენ შეკრებილ მასალს, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ავტორს ძალა არ შეუქვავ, რომ ეს მასალა მხატვრულ ჩარჩოებში ჩამოესხა და ტიპიურ სიბუდვარი რომანად იქცა. სასოგალდ რუსის მწერლებს—ნიკიერებისაც-კი—ვერ ეხერხებათ უცხოელების დახასიათება. განსაკუთრებით კეკეასიელებისა; გარდა უმეტრებისა მათ ხელს უშლის კიდევ „რასაცა“ და თუ დღეს ბ. კუპრინზე ხმას ვიღებ, მხოლოდ იმისთვის, რომ მის უმეტრებს წინ უძღვის ეს „რასაცა“ და ეროგ-თუ ისეთი კეკეი-ეროგეკი, როგორც უმეტრები...

რად დასჭირდა ბ. კუპრინს ქართველი სტუდენტი რუსეთის სარისკეთოების ისტორიაში? ამ ისტორიას ხომ მრავალ სუკეკეთა ნაციონალური სიბუდვარ აქვს წამოგირებული და რა ადგილი აქვს მას ეკეოლიტერატურაში ქართველ სტუდენტს?!. ან, იქნება, ქართველი დასჭირდა ფაბულის განსავითარებლად? სიადგანა სჩანს?! თავად ნიკერძე მარტო იმისთვის არის „ორმოში“, რომ მას რუს-ამხანაგებმა (ეეორ-კი თვით ბ. კუპრანმა.) „ишакъ кавказскій“ უძახონ და ნიკერძემ-კი (ადგილ სამდდობელ-ადგილ) მთ მეძგ ლიეს ზურნაზე დაკვრა ასწავლოს! დიდა ამისთვის?!.

მაგრამ, ვიქვათ, ეს ავტორის კეთრიზია—ჭსურდა და გამოიეეკნა! კარგი... მაგრამ ბ. კუპრინს მწერლის სახელი აქვს, საკმარისად დიდი სახელი, და მას მოეთხოვება მწერლის ელემენტარული სინდისიერება...

ქართველებში, როგორც რუსებშიაც, ბევრია კარეეანდიტ, უტვინოც, მაგრამ, როდესაც ბ. კუპრინს დიდ ნაწერმოებში გამოჭეყეს ერთადერთი ქართველი, ასურათებს მას, როგორც ქართველს, მაშინ მოგვალ ხდება კაეტნოს ქართველი—კარგი, ეი—და ისე შეუდგეს მის დახასიათებას. ჭიანჭველაზეც არ სწერენ, ვიდრე მის ზნე-ჩვეულებას არ შეისწავლიან, მაგრამ რას დაგიდევს კოთამბეული ბ. კუპრინი! ქართველებზედ იცის ძხოდა—„шашлыкъ“ და „мроволъ джаміемъ“—არ ეეოფა-თუ!.. დანარჩენი შეიგსება კეკონიდი უშმაწური ანეგდოტებით და თვით ბ. მწერლის ადგილ-წასხნილი ფანტაზიით!..

უკეტრავად, შეეტოდე: როგორც „განათლებულმა“ მწერალმა ბ. კუპრინმა კეკეასიელებზე კარგა შაშლიკ და მროволъ джаміемъ იცის მასალმე სიტყვაც—ишакъ და ამ სიტყვას განუწყვეტლივ ეიეორებს ბერ-და-ბერ ნაოესსურა ადგილი...

ბ. კუპრინის უვიცობა სასრაკოა!

რომ ნიკერძე აქლემის კეშით დაჯიდდეკ—ეს ბ. კუპრინის ტეტლეტ შემოქმედ-

ბას ეკითხა, მაგრამ რომელ სიზმარში უნახავს, ვითომ ქართველი სტუდენტები რუსეთში ეკვეტებიან საქართველოდან კაკაბანიდი ცხვრის ხორცით და ბალრაჯნებითო?!. ეს ხომ ხელსტეკოვის წვენსა ჰგავს, ბარიზადან რომ მოსდიოდა ცხელ-ცხელი! ფოსტეტ ვაი-ვაკდასხით აეზანუნება ზვენს ადალეცებოდა ქართველოდან მოსკოვს—ეტერბურგს, ნაკარაძესთან კაკაზანილ მწვალებს!.. ეს ბალრაჯანი რასაა?!. ალბად ანდგმის კუჭის მქონე ნიკარაძე ისე-უმ ბალრაჯნებსა ჭ�ანდანაკდ..

მხარული წერილი ბ. კუბრინი!

ცნობილ „მრავალ ჯამიერს“ ასე წერილ ამახინჯებს—„мраволъ джаміемъ“ და ასეთი ჩლუნგი უჭრების ბეტრონი კისრულობს ქართული ლაბარაკის კეთილ-ხმოვანების ნოტებზე კალდებს: поканье, гортанные звуки, похожіе на хорканье вальдшнепа...

კარგა ეშეტრებისა, ბ. კუბრინი არც სინიდისიერი მწერალია.

რა რუსულითაც ის ადამარაკებს ქართველ სტუდენტს, ასეთი მე კაბეკია მხოლოდ ბაზრის ხალხისკენ: „Замэчательный женшшына .. Отъ тэбэ убѣжитъ, душа мой... це-це-це .. вай, вай.. “ და სხვა... ეს ხომ დეტერატურული ეთარაბანობაა!

ბ. კუბრინს „ბოდიტეკეტ“ აინტერესებს.

დაინახეთ ამბავს, რომ ნიკარაძე დაბარაკის დროს ერთსა და იმავე ბოხოდოლს ეშეორებდა, რა „Грузія самая обиженная страна!..“

რას ნიშნავს ეს წამოერანტლებული „обиженная“?

ამას, რომ ბ. კუბრინს ხელში ჯოხი უჭირავს და დრინავს!..

„ბაბრის“ სუნიც ასდის ბეტეტეკეშელ მწერალს.

სადაც-კი ქართველებს ახსენებს, არაფერს ერიდება, რომ მოთხრას ჩვენი სახელი, და ეს ცნობილი რუსის მწერალი, ეს „ინტელიგენტია“, ეს „ნადები“ რუსეთის „მოწინავე“ სახოგადოებისა „ფეფხის ტეოსანნი“-კი დაინეთ ახსენებს!. .

უსუნებია-კი ბ. კუბრინს „ვეფხის ტეოსანნისთვის“? ან-კი რაში ესაჭიროებს: დღეს ის კანკალებინდ დმეროების ბარნასზეა და ისეთის წიხლებს!...

სულ ორიოდე ფურცელზედ ამოდენა სიასაძაგეა!..

ავტორისკენ შეთხზული „ქართველი სტუდენტი“ ასეთია: დაბეკი სულით, ხორცით, შეძლებით; სულელი, მტკნარი ეუფეი, ბიწიერი; უბადრული ჭეეეთ, კრძნობით,—ერთი სიტეეთ, „ишакъ кавказскій!..“ რომ ქართველი სტუდენტის სურათი „ადმოაგრებული“ კამოვიდეს, ბ. კუბრინი თავის შემზარავ ეეეტობასაც ერა სკეერდება და კანზარა თავდების ახეეეთ, სიეულითა ენესა თავის სიბეულარო რომანს.

ბ. კუბრინი იქმადის „ეეეუნებოდ“ კახდაეთ ქართველებზე, რომ კეკეასიური კარეეენული სიდამაზის დამტერებასეტ-კი ცდილობს ეო, ნიკარაძეს შეკოეკდებისთვის—немножко бараньихъ—დნებოდნენ მხოლოდ „хористки, кондитерскія и телефонныя барышни“... რეგორც ჭნდაეთ, ბ. კუბრინი ქართველისთვის ამეტებს მხოლოდ „ხორისტკებს“, ამაზე ზეეთ-კი ხელს ეფერებს! ნუ კრეზეკენინთ, ბ. კუბრინო: ბეეერი ახდაკზრდობა კაკეთუბეეურდ რუსეთში ამისთვის, რომ მთ ატკეტენენ და „таютъ“ არა მარტო „ხორისტკები“...

მაგრამ ბ. კუბრინისკენ ეეთითხეთ „ქართველი სტუდენტი“ მაცდურად კაკდაჭქეეეთ თვით ავტორს და ისეთ ეოდოდ ულაზეთ, ეაზრა სასაეიდო ებედობაში ითრეეს თავის „მეზობელსა“, რომ მკითხველს ეჭვი ებადება მწერლის „უქეთფობაზე“...

„ორმოს“ სტუდენტები (ნეტა სად კამოძებნა ეს დარდაკები!), არამც-თუ ნიკარაძე—რუსებიც და, მთ ორის, ავტორის სიმზაკეით დაჯადდოვებულნიც, ისე სულელურად იქცეკენ, რომ თორმეტი წლის ბავშვებასეტ-კი შერცხვებოდათ!

მეძავ ქალს დიუბას, რომელმაც „чаво“-ს მეტი არა იცის-რა, ასწავლიან წერა კითხვის კარდა, კრაზტიკას, ფიზიკას, ქიმიას, ასტრონომიას, სოციოლოგიას, მარქსის მოძღვრებას და—რა კინდა, სულო და ეუდო! ქართველი სტუდენტი-კი, რადგანაც „ничего не знаетъ“, ამავე დიუბას უკითხავს ქართულად და უთარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმნის „ვეფხის ტყაოსანს“, ასწავლის ეგრეთვე... ზურნაზე დაკვრას!.

არა, ქართველ სტუდენტს მეტად „დაუზიანებია“ ბ. კუბრინი!..

წარმოვიდგინოთ, რომ სტუდენტმა ნიკარაძემ „ვეფხის ტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, ზურნაზედაც უკრავდა და ბ. კუბრინის ხელში იქმნების გასულიყო, რომ ამ ორ თაობის ცოდნას საკმარად სთვლიდა დიუბის განსასვეტკებლად, მაგრამ ეს რუსის სტუდენტები რადამ კაკგოცთ, რომ სოანხმვებიან ნიკარაძეს და სადუთ დიუბის ასეთი „სახიფათო ექსპერიმენტის“ მსგავსებლად ჭხდიან?!.

მაგრამ, ეტყობა, ბ. კუბრინის კადამეიდა ადარე რუსის სტუდენტებს შეგნთ თავში ჭკუა, — არ შეგნთ ამ მიზეზით, რომ ბ. კუბრინი მეტად კიეტეტ ქართველის განსასიდოებლის სურვილმა — იქმნდის, რომ ბოდოს და ბოდოს ყველაზე სასიდო თვით ავტორი კამოვიდა...

ასეთი უოფილა ცის კანკეტა!..

ბ. კუბრინის „ნათელი“ სულია და გული ტხადია ჩვენთვის...

რა განსხვავებაა ბ. კუბრინის და ამ „ზეპრების“ ძორის, რომელნიც კიეძახიან — „проглочу“ დღეს ბ. კუბრინი რუს. მწერლობის ერთ დიდ-ბოძთაკანია; უმადლეს ინტელიგენტთა წიაღში განასვენებს, და თვით, ოფიციალურად მაინც, თავით ფეხებამდე მხატვარ-მწერალი „ვეფხის ტყაოსანზედაც“-კი კბილებს აკრეკს! თუ ასე ახდა — თავისავე სახელმწიფოში ვერ იშვნა „ვეფხის ტყაოსანის“ კიცხობა, ის მაინც არ კიუკია ბ. კუბრინს, რომ დასავლეთი ეგრეთ, უფრო კულტურული ხალხი დიდის ეურადღებით ექცევა ამ ნაწარმოებს: სთარგმნის, ჭბეჭდავს სპეციალ. ადგილ მუზეუმების ხარჯით და ინახავს, რაკრც ძვირფას განძს?!.

მართლა რომ დიდი გრძნობით უნდა წერილ ადამიანმა „ორმოების“ სიმრუშეზე. რომ ასე განადასანავდეს!..

ნ. ...

ბოდბრაბ. **იაკობ ერ პეტრიაშვილი**
მოკლულია დიდი ბრძოლის დროს მდ. სანზეკრაკის მაზრის. სოფელ სხვავის მცხოვრები

ამონაკვესი

ვითა უდაბნოს აწერი ეული,
ვზიავარ, მდარაჯობს უტყვი ბუნება;
ხშირ ნაძვთა შტონი თავსა მიკრავენ,
გრილი ნიავი მესალბუნება.
კაცთ სიავისგან გაფთრებულსა
აღარ მასვენებს სიცოცხლის ენება;
შორს, შორს მიმაფრენს მწარ ოცნებისკენ
და კვლავ ნიავი მესალბუნება...
ჩამქრალა გულში აზრი კეთილი
და ნაცვლად მეფობს შური და სნება,
და მწარ გულის თქმას, მწარ მისწრაფებას
მხოლოდ ნიავი ესალბუნება...
ერთხელ მტარვალიც მებრალებოდა,
მაგრამ რას მარგებს ეს მოგონება? —
ცრუ საწუთროის აწ უარმყოფელს
მხოლოდ ნიავი მესალბუნება...
ვერ დავამყარე სულის ედემი,
ოცნებით მაშვრალს აწ სული მხდება,
და კაცთა შორის უთანაგრძნობოს
მხოლოდ ნიავი მესალბუნება!..

ბაკურციხე **დარია ახვლედიანისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი დღე

კომედია 3 მოქმედებად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 30)

IV

ოგინოვა და სერგო

სალომე სერგო! შემოიტანე სამოვარი.

სერგო რომელი სამოვარი, ქალბატონო?

სალ. (მწყრალად) რომელი და ნიშა-ნიკორა!

სერ. (დამდალი) აღარ გახლავთ, დავცალე... ბატონმა მიბრძანა და მეც დავცალე.

სალ. (ეჯავრება) ბატონმა რომ გიბრძანოს, სამოვარი დაამტვრიეო, შენც დაამტვრევ?

სერ. (დამდალი) დავამტვრევ, ქალბატონო, ბრძანებას ხომ ასრულება უნდა.

სალ. (იცინის) აი! შე გასაციებელო, შენა! გასწი! (სერგო მიდის) დაიცა, დაიცა! ბიკო, შენ ცოლის შერთვა არ გინდა?

სერ. (დრეკილი) ბარემაც მინდა, ქალბატონო, მაგრამ რა ვქნა!

სალ. (დამდალი) თუ გინდა—რატომ არ ირთავ?

სერ. (დრეკილი) საიდან შევირთავ, ქალბატონო, სახლი მე არა მაქვს და კარი, ფული და საქონელი.

სალ. რომ იშოვნო ფულები?

სერ. არ შეგეპარა ჭირმა, მე ფულები ვერ ვიშოვნო! კამეჩმა წიხლი ისწავლა და მე ყაირათი ვერა!... ამდენი ხანია გემსახურებით და ერთი უზალთუნი ვერ გადავარჩენ.

სალ. აი, შენს ბატონს ყველაფერი აქვს და მაინც არ უნდა ცოლის შერთვა.

სერ. (სიცილით) მე რომ ბატონი ვიყო —არც მე შევირთავდი ცოლს.

ალოლ. (სიცილით) აი ყოჩაღ, სერგო! ყოჩაღ! (სიცილს) ხედავ სერგოც ჩემი აზრისაა.

სალ. რატომ არ შეირთავდი, ბიკო?

სერ. იმიტომ, ქალბატონო, რომ ცოლი მარტო ჩემთვის და გლეხკაცებისთვის არის საჭირო: ქათამს გაგვიზდის, ოჯახს მოუვლის. ბატონს რათ უნდა ცოლი? რაც ქალაქში ცოლებია მისი არ არის? (იცინის)

პუბლიცისტი

ილია ხონელი (ბახტაძე)

გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო

სალ. (სიცილით) უი ქა რას ამბობს ეს სასიკვდილე. გასწი.

სერ. (სიცილით) მართალს მოგახსენებ ქალბატონო. (კვდის)

ალოლ. (გულიანად იცინის) რა მასხარაა ეს ბიკი. ის მასხარობდა, მაგრამ სიმართლე კი სთქვა. სოფლის ,,ეაცი უფრო ადრე ირთავს ცოლს, ვიდრე ქალაქის, რადგან ქალაქში მეტი გარყვნილებაა.

სალ. (ტირიდის ხმით) შვილო ალოლონ, მართალია, შენ ეკვიანი ხარ, ნასწავლი, გაზრდილი, მე მოხუცებული და უუკეოც, მაგრამ ხომ გაგიგონია ერთი ბრიყვსაც უნდა დაუჯეროო. მამა-შენი მოკვდა, მე სიკვდილის პირად ვარ. დღეს არა ხვალ მოვკვდები, ჩვენი ოჯახი უნდა მოისპოს. ნუ მოსპობ, შვილო, ოჯახს, შვირთე ცოლი, მომასწარ შენ ბედნიერებას. (ეხვევა)

ალოლ. (ეჯაშეებინება და დადის) ჰო, კარგი, დედა-ჩემო, ნუ გამიჭირე საქმე. ალა მითხარი ერთი ვინ შევირთო?! ქუჩის ქალს ხომ არ შევირთავ?

სალ. (დამდალი) ისეთი ვინმე რომ იყოს—მოგეწონოს, შეირთავ?

ალოლ. რატომაც-არა, თუ კი მოსაწონი იქნება—დიაღაც რომ შევირთავ.

სალ. (ამედი მეტეშს) ეგნატეს ხომ იცნობ, შვილო, პუწკიევს?

ალ-ლ. ეგნატე, პუწკიევი, აი ჩვენს ახლო რომ დგას? ფოსტის ჩინოვნიკად ნამყოფი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალ. ჰო, შვილო.

აპოლ. ძალიან კარგად ვიცნობ. აი ნამდვილი ქართველი ის არის.

სალ. (დამდგომ) მის ქალს სონას იცნობ შვილო?

აპოლ. დაახლოვებით არა და ისე კი ვიცნობ. მგონია იმან ახლა გაათავა ინსტიტუტი.

სალ. დიაღ, აი შვილო, თუ არ დაიწუნებ, კარგი ცოლი იქნება.

აპოლ. (დამდგომ) ვნახოთ, გავიცნობ და, თუ მომეწონება ..

სალ. (სიხარულით) შეირთავ შვილო?

აპოლ. თუ მომეწონება რატომაც არა

სალ. (სიხარულით ყელზე მოეხვევა) ჰო, შენ გენაცვალოს დედა, მოგეწონება, მოგეწონება შვილო ისეთი ქალია, ისეთი, რომ მისთანა მთელ ქალაქში არ იქნება. (შემოდის ოდარიონ)

V

სალომე, აპოლონ და ილარიონ

ილარიონ (თეთრი პანჯაკი და ჭრელი შალვარი აცვია. თავზე რგვალი ჭიდოფთის ქუდი ხურავს. ხელში ჯოხი უჭირავს. მხიარული კაცია, შემოდის სიცილით დაინახავს სალომესა და აპოლონს და ბოტებიანი კაჩერდება კარებთან) ერიჰაა!.. აი, საზოგადო მოღვაწე სწორედ ასეთი უნდა! უკვე ორი საათია და შენ ჯერ პინჯაკიც არ ჩაგიცვამს. (მიავ და ჩაამარეულ ხელს ჯერ სალომეს და მერე აპოლონს, ჩამოჯდება იქვე სკამზე)

აპოლ. ეჰ! დავიღალე, ჩემო ილარიონ, დავიღალე. დღეს გადავსწყვიტე დასვენება, მაგრამ მასვენებს კი ვინმე? აი, დედა-ჩემის სურათი დავხატე დღეს. (უჩვენებს სურათს)

ილარ. (შავ და შეხედავს სურათს) ყოჩაღ! მშვენიერი სურათია, ნამდვილი თქვენა ხათრ, სალომე, კოხტა, ლამაზი.

სალ. (იცინის) უიმე! აბა რას ამბობთ, ილარიონ? რა დროს ჩემი სილამაზე?! (დადგენებით) ერთ დრ-ს შეიძლება ვიყავი ლამაზი, მაგრამ ეხლა მ-ვხუცდი, შვილო, ჩემი სილამაზე ვიღამ სთქვა?

ილარ. (დამდგომ) ჯერ კიდევ ბევრ ხალგაზრდა ქალს სჯობიხართ, სალომე (მობრუნდება და დაჯდება) სხვა, როგორ-გინ კითხოთ სალომე, ხომ კარგათ?

სალ (დადგენებით) ეჰ, შვილო, ვარ ცოცხალი და შევსცქერი ამ ჩემ შვილს, როდის მაღირსებს ბედნიერ დღეს.

ილარ. (იცინის) ნუ გეშინია, სალომე, მალე, ძალიან მალე.

აპოლ. ახალს არაფერს იტყვი ილარიონ?

ილარ. შენ აქ იჯექ და ბევრ რამეს გაიგებ. რა დროს დასვენებაა, მეგობარო, როცა აუარებელი საქმეა გასაკეთებელი.

აპოლ. (დამნაშავის კილოთი) დავიღალე, ილარიონ. გუშინ დილიდან საღამომდე მუხლი არ ჩამიკეცია, კირილე მივაცილე სასაფლაოზე,. ხომ იცი, საზოგადო მოღვაწის ისიც მწარ-ლის დასაფლავება-და წეს-რიგის დაცვა რამდენ ენერგიას და შრომას თხოულობს. ისე დავიღალე, რომ როცა სიტყვას ვამბობდი, თავ-ბრუ კინაღამ დამესხა. აგრე რომ არ ყოფილიყო, ისე სახლში რა გამაჩერებდა. ეს შენ კარგად იცი და ტყუილად მისაყვედურებ.

სალ. მართლა ძლიერ დაიღალა, აპოლონი, გუშინ. მიცვალებულის გასვენება ძლიერ ძნელია, შვილო, მაგ'აც ცოდნა და გამოცდილება უნდა.

ილარ. (სერიოზულად) მართალია, აპოლონ, გუშინ ძლიერ დაიღალე, მაგრამ დღეს მაინც უნდა გამოსულიყავ და ერთ-ორ ალაგს შეგეცვლო. ხომ იცი, თუ დარაჯად არ დავუდექით საზოგადო საქმეს, ეველაფერი ხელიდან გამოგვეცლება. აგრე ადვილად არ უნდა დაიღალო. დღესაც რომ გეყოლოდა მიცვალებული, ასე იჯდებოდი სახლში?

აპოლ. აბა, რას ამბობ ილარიონ? ასეთ დროს მე დაღალვა არ ვიცი. ვ-ც დი ღღეს არავინ იყო დასამარხი და იმიტომ მოვაგვიანე გამოსვლა.

ილარ. (წყენით) კიდეც იმიტომ მიდის ჩვენი საქმე ცუდათ, რომ ჩვენი ინტელიგენცია გვიან ადგიმეს და გვიან გამ-ოდის სახლიდან. გუშინ მეც ვიყავ განსვენებულ კირილეს დასაფლავებაზე. შენს შ-მდეგ მეცა ვსთქვი კარგი მოზრდილი სიტყვა. დავიღალე მეც, მაგრამ დღეს დილის ექვსი საათიდან საქმეს ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთებ. ვიყავი ერევნის მოედანზ, იქიდან ქალაქის გამგეობაში, იქიდან ბანკებში, შემდეგ კლუბებში, შემდეგ გაზეთების ყველა რედაქციებშ, ზოგან წერილები დავსტოვე, ზოგან საზოგადო მოღვაწენი ვნახე, შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის წინ რამდენჯერმე გავიარ-გამოვიარე, ცოტა ხანს თეატრის შესავალ კარებთან ვიდექი და გამელელ-გამომვლელთ ვათვალიერებდი, შემდეგ ერთი ნაცნობი ქალი სახლამდე მივაცილე და იქიდან შენსკენ გამოვეშურე. აი რამდენი საქმე გავაკეთე დღეს და შენ კი ჯერ პინჯა�კ არ ჩაგიცვამს. არ ვარგა ასე, ჩემო აპოლონ.

აპოლ. არც ის ვარგა, ჩემო ილარიონ, რომ სულ წელში გავწყდეთ. ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც დასვენება გვინდა. ეხლ სხვებმაც უნდა იმუშაონ. მართლა მარტო ჩვენ ორზე ხომ არ ტრიალებს მთელი ქვეყანა.

პ. ირეთელი

(გაგრძელება იქნება)

კოგპ. ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაფვილი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ 29)

ჩვენ ხედავ გვაქვს კომპოზიტორის ორი რომანსი „ისევ შენ“ და „დაფრდომილი სნეულია“. ორთავე რომანსი ძალიან მოკლე არის, თითოეული მაკანონ შესდგება მარტო რვა-რვა ტაქტისგან. თვით მელოდიებზე ის უნდა ვსთქვათ, რაც ამ წერილის თავში ვსთქვეთ საზოგადოდ ა. ყარაშვილის მუზიკზე ორივე რომანსი ძალიან დიდის კრძნობით არის დაწერილი, მელოდიებიც სასიამოვნო სათქმელია, მხოლოდ თავისი სიმოკლით ძალიან ბეგრსა ჭკარგავენ.

საზოგადოდ კომპოზიტორს თავისი შემოქმედების სან�ვიწრო ფარგალი აქვს ალებული, ე. ი. ქალაქური მელოდიები. მაგრამ რადგანაც ქალაქური სიმღერები უტხო მელოდიების დიდ კავშირნის ქვეშ არიან, ამიტომ ა. ყარაშვილის რომანსებშიც გამოსჭვერეტს ეს

რაფ. ჯიბლაძე (რ. ჯიბილ)

სახალხო სცენის მოყვარე და გურული სცენების დამწერ-წამკითხველი, ათ წელზე მეტია ქართ. სახ. სცენაზე ბეჯითად ემსახურება (განსაკუთრებით „მერულ მსახურთა როლებს ასრულებს მოხდენით.) დაწერილი აქვს მრავალი სცენა (ორმოცამდე დაბეჭდილია ეს ჟ. „ერეულ ჟურნალში). ამ ჟამად ავადაა.

უტხო კავშირნი. მაგრამ ამ კავშირს ჩვენ სრულებით არ ვუკიჟინებთ ავტორს; პირიქით, ხშირად კარგი კავშირს სასურველიც არის. ჩვენ მხოლოდ ამას მივაქცევთ კომპოზიტორის ყურადღებას, რომ იგი თავის რომანსებში სასინდისოდ კავშირის თეშის განვითარებას, რის გამოსახვით მისი რომანსები თავისი დირსებით მდარდებიან. ნასახი ავტორის თეშის განვითარებისა ჩვენ დავინახეთ ამის „ლოთეტ“-ში, მაგრამ იქაც მოდიანი მსატვრობა და ადგა ეკრა აქვს დაცული. ეს კი მხოლოდ ამას უნდა მივაწეროთ, რომ კომპოზიტორი ძალიან ტოტასა სწერს და დაბრძნული კომპოზიტორის მანერა არ გაუგამეთია.—

ავტორს აქვს დაწერილი კიდევ ორი ხორო „ბატარა მურაბა“ და „მრავალ-ყამიერ“ (ორივე სასეულრად დაფრიალდა ეურნალ „ბანათლების“ 1914 და 1915 წწ. ხელის მომწერ). ამ ორ ხორაშიაც კომპოზიტორს მუზა არ დადატობს და მელოდია კარგად აქვს დამუშავებული. მხოლოდ სხვა ხმები ტოტალი მოიდარებენ; ნაბეტნავად ბანი ორთავე სიმღერაში მოისესტეტს: „მურაბაში“ ძალიან სადა და ბრალია, „მრავალ-ყამიერში“ კიდევ ძალიან ხტალ და ტოკამს. ახალგაზდები თეორია ბანს უფრო სხვა მიმართულებას ანიჭებენ, ვიდრე შამდინიური ხტომა კვარტებზე და კვინტებზე.

ჩვენ ვერ აგებინა კომპოზიტორს „ბატარა მურაბაში“ რათა აქვს კამეშეებული 1, 4 და 7 ტაქტში მეორე ხმა (ტენორი), ურომლისოდაც ეკორდი ჭკარგავს თავის სასრულეს, ნაბეტნავად თუ ხორის მარტო მამაკაცთა კუნდი სარულებს. თვით კომპოზიტორს კარგად მოეხსენება, რომ ეკორდში შესაძლებელია კა მოუშვა მეხუთე ნოტი (კვინტ), ან მეოთხე

4301

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ოქტაკვა), მაგრამ ძირისა და მეორე ნოტის გამოშვება ძალიან ძნელია, თუ ძალიან დიდი კაკნერვება არ დასდგა კომპოზიტორს; მოუვანდეს მაგალითში კი ამისთანა გასაჭირს ვერა ვხედავთ, მარიანა უტერეიოთ პორდა მალრე არა ტკბილხმოვანი არის.

თუ პატუტეშული კომპოზიტორიც დაგეთანხმება, ვიტყვით რომ „მრავალ-ყამიერშიაო“ რიმი ვერ არის წესიერად დიტული. სიმღერაში არის ნახმარი ზომა $^2/_4$, ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ უსთუოდ უნდა იყოს ზომა $^4/_4$, რადგანაც ამას მოითხოვს სიტყვების და სიმღერის რიმი და მაკარი ადგილების დაცვა. ვეტორის ზომას რომ მივუყეთ სიმღერის პირველს ოთხ ტაქტში ოთხი მაკარი ადგილი უნდა გამოგაჩინოთ, რაც სიტყვების ხმრსაც ეწინააღმდეგება და უადაგო ხმის ამადლებითაც სიმღერა ჭრელდება და ჭკარკვს თავის დოდიკურს სიმოელს. ხორო რომ დაწერილიყო $^4/_4$ ზომით, მაშინ რითმაცა და ხმის ამადლებაც თავის ადგილს მოგადოდა და არც დოტბარი შეგვ შეცდომაში სიმღერის სწავლაში.

დასასრულ არ შეიძლება არ ადგილიმნოთ, რომ ჩვენი კომპოზიტორი, რომელიც მუსიკაში ერუდიციის მტკრებელია და რომელს ნაწერებიც ასეთი სითბო გამოსჭვერეტს, ძალიან ტოტას მუშაობს და აქამდის ჩვენს დარიბ მუსიკალურ ლიტერატურას არავითარი საკუდასხმო კანონი არ შესძინა თუ სურს, სამშობლომ მას ხელოვნქმნელი ქედი დადგს, მან ამის ბადლად დიდი მუსიკალური გვირგვინი უნდა უძღვნის თავის სამშობლოს.

ან იქნება თვით ჩვენი საზოგადოება იყოს დამნაშავე მასში, რომ კერძოდ ბ ეარაშვილი და საზოგადოდ სხვა ჩვენი მუსიკოსები ნაკლებად მუშაობენ, განიადან თვით საზოგადოება ვერ ავასებს მთ. რამდენადაც ჩვენ ვიცით, აქ, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სოფეხ-თაოთრთა შეტაკების დროს შეა-მავლობა მხოლოდ ქართველებმა იკისრეს!.. კანა ტოტა მსხვერპლი შეესწირეთ ამ შეთხვევაშიც? . მერე რა გაბოვდა?.. კეთილნეთ ბოდიტენინეკუმის ისტორია და თქვენ სავსებით დარწმუნდებით ჩვენი კერპის ნაფოფიერებაში. ჩვენს ჯინზე, რომ და ქართველების ერ კეკიდესა, ბოდიტენინეკუმი ისეთ ადგილას კედაითრეს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფრომა ოდნავ რომ მოვიდა ცნობაზე, რევოლვერი მიიღირა გულზე თავის მოსაკლავად, მაგრამ სირცხვილის გრძნობამ შეაჩერა—აქ რო თავი მოვიკლა, ყველა იფიქრებს: ჯერ დედა მოუკლავს მერე თავი თავი... ამიტომ თავის მოკვლა გადიფიქრა, აკოცა დედის გაციებულ მკერდს, ეამბორა გაძვალტყავებულ ძოძოებზე, სხოოა პატიება, წამოდგა და თითქო სისხლი არ უშვებ სო, ატაცებული დაადგა თავს. ამ დროს ზედიზედ გაიელვა, გაანათა მაიას სახე და მკვლელს აჩვენა, თითქო ზეცა უსაყვედურებდა: „რა ჰქენი შე უბედურო, ვინ მოჰკალიო“... სოფრომა დაიძრა... „ბახეო“, წამოიძახა თვის უნებლიეთ სოფრომამ, თითქო უნდა მიცალებული ჩაებაროსო, მაგრამ ენა ვეღარ დასძრა .. გავიდა რამდენიმე წუთი და კვლავ წამოიძახა „ხალხიო“...მაგრამ ვერც ეს სიტყვა დამთავრა და ენა ჩაუვარდა. ვინ რას გაუგონებ და .. სოფელს ეძინა მკვდრული ძილით, სოფელი სდუმდა, სოფელს ის გაურბოდა .. სულ უკანა კნელ სასოწარკვეთილებით დაკარაჩუნა კბილები და თითქო, თვალებიდან ცეცხლი გადმოფრქვია... „მეც გამოგყვები დედაო“, და გაჭრა ღამის სიბნელეში...

ქუხდა, ელავდა, კოკისპირულად წვიმდა. რუ ორხები მიჩქრიალებდნენ და შრიალებდნენ.. ცა თავ-პირს იბდღვნიდა, დედამიწა იკაწრებოდა... შიგა და შიგ ქუხდა, ელავდა... თითქო ბუნებაც სოფრომას სდევნისო, სოფრომა

თბილ ბუნებაც სოფრომას სდევნისო, სოფრომა გარბოდა ელვისგან დაკრულვილი.

გარბოდა ელვა დაკრულვილი... „დედა, დედა, ნუ მეჩვენები, ნუ მაშინებ შემეცოდეო. ეს ყაჩღი სოფრომა იყო — დედის ძკვლელი. იმას ყოველ ნაბიჯზე დედა ეჩვენებოდა: დახეულ-დაწიწილი, წვიმაში ამოწუწული, თვის სისხლში ამოსვრილი, გულ-გაგმირული და თითქო ეძახოდა: „რად მოხვედი ჩემდა მოსაკლავადო“. შვილმაც ვეღარ გაუძლო ამ მოჩვენებას და იმ ტყვიის ამხანაგი, რომელმაც დედის გული გაგმირა, თვითონ დაირტყა გულს...

მეორე დღეს სოფელ მ—რში ორი მკვდარი ნახეს, ორივე ტყვიით გაგმირული: სოფრომა და მაია.

სოფელი დუდუნებდა, მაგრამ მკვლელობის სწორე მიზეზი ვერავის შეეტყო.

ევ. ფურცხვანიძე

რეიზა დეიხრჩო თავი?

(სკენისებური)

ამ ერთი კვირის წინეთ ჩევედი სოფელში. შემხვთა ჩემი მეზობელი და ვკითხე:— რავა ხარ ივანიკა თქვა?!

— მშია, თუარა კარგათაო. მიორეს ვკითხე: —მშია თუარა კარგათაო. მესამეს —მშია თუარა კარგათაო.

გადევიარე მიორე სოფელში. მისთანა მოთქმა მომესმა, მისთანა რომე, კაკალი გულის დასათუთქი.

— რა ამბავია ეკონე-თქვა? ვკითხე ერთ ყმაწვილ კაცს.

— რა ამბავია, ბატონო, და უფროსმა კაცმა თავი დეიხრ'ოვო!

— რეიზა, თუ ძმა ხარ თქვა.

— რეიზ, ბატონო და უფროსი ვაჟიშვილი საღდ თში წეიყვანეს და მისი არც კი ისმის—.რც ავი .. ორი ბაღანაი შიმშილით ქე მოუკვდა... ორი კვალი მიწა ქონდა დათესილი, უბედური ამინდების გამოისობით ამაზე ხელ-დაბანილი დარჩა .. მოგლოჯინდა უშველებელი წყალი და სახლი ნალია-საღორე-კარია-ბატი-ქ.თამი-ინდაური-კვატა-ხარი და ძროხა ქე წაიფიკა. რაი უნდა ექნა საწყალ გლეხსა?! ეიხედა ცაი, დეიხედა დედამიწა... მშველელი ვერვინ ნახა და ქე გადახტა ჯაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, კაცო, გაზეთებში რომ ვკითხულობთ: ამ-და ამ ზომას მივმართეთ „ღრიური უბედური ების წინააღმდეგ...ესა და ეს საშვალება გამოვნახეთო... ამდენი და ამდენი გამოგვიგზავნესო. ესა და ეს შეგვპირდნო,—ამას ყოლ ოფერს ტყვეულს ჩვენ.ნ?!

— ეჰ, ჩემო ბატონო,—თქვენთვის მომიციაო: თფილისი-ბაქო-ქუთაისი-ბათუმი—ფოთი და სოხუმი,—

სიტყვით—და საქმით რა მოგახსენო!..

ალი—ძამია

ქართული სახიობა

აბჯარელთა სასარგებლოდ სოფ. კვარცხუთის (რ ჯა) ორ-კლასიან სკოლის შენობაში 19 ივლისს ყოველგვარ საქველმოქმედო საქმისთვის თავდადებულ კნ. საშა ერისთავის თოსსნობით წარმოადგინეს: „დედა და შვილი“, ილიასი, „ჭკუისა მჭირს“, ვ. ავქს. „ცაგარლისა და „დატრიალდა ჯარა“, კოტე ყიფიანს ს. თემეკ მონაწილეთა უმეტესობა პირველად გამოვიდა სცენაზე, წარმოდგენა მწყობრად ჩაატარეს. მკვირცხლი და ეპაედული თამაშით ბ. შ. ჭიჭინაძემ ნთლად დაგვიხატა ახალგაზდა ქართველის სულისკვეთება, რომელიც მზად არის თავი შესწიროს საშობლოდ ბედნიერებას. მას ხელს უწყობდა მოხდენილი თამაშით ქ. გოცირიძ ს ასული (დედა). ბეგრს ცრემლები მოჰგვარა სცენამ, როდესაც მომაკვდავი დედა ომში ისტუმრებს თვის ძვირფას პირმშოს. ომში მიმავალი ჯარის მწყობრი სიმღერა კი სწორედ აპოთეოსი იყო პიესისა. მკრთალად ჩაიარა პიესამ „ჭკუისა მჭირს“. სამაგიეროდ ცოცხლად ჩაატარე „დატრიალდა ჯარა“. ამ პიესის სულის ჩამდგმელი ბ. ერი თავი იყო (სოსია). თვისი მოხდენილი თამაშით მან ბეგრი აცინა დამსწრე სასოგადოება. თავადის ასულმა მარიამ ერისთავმა მოგვცა სრული სურათი ბკვინი ცოლისა. კარგი იყო ბ. მინდელი ქმრის როლში. დანარჩენი მოთამაშენი ანსამბლს ხელს უწყობდენ. აღსანიშნავია აგრეთვე სირუმე, რომელიც დაცული იყო წარმოდგენის დროს მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. წმინდა შემ სავალი გადაეცემა „აბჯარ ოთა დამხმარე კომიტეტს“. დამსწრე სახოგადოება დიდი მადლობელი დაურჩა კნ. ერისთავისას აგეთი შინაარსიანი საღამოს გამართვისთვის.

ს. მაღალიანი

გაღლადში კვირას, 5 ივლისს გაიმართა აკაკის საღამო. ბ. ბუჩიძემ წაიკითხა ლექცია „აკაკი, როგორც ეროვნული მწერალი“. ლამაზად მორთულ სცენაზ ამშვენებდა აკაკის სურათი. ლექცია შინაარსიანი გამოდგა. მეორე განყოფილებაში ითამაშეს 1 მოქმედება „პატარა კახი“-დან,ლამაზად და მოხდენილად შეასრულა პატარა კახი შ. ჯაფარიძემ. კარგი გოგი იყო ვარ. ჩხიკვაძე. განსაკუთრებით მოსაწონია ამ მსახიობის დიქცია, მკაფიოდ და დალაგებით სიტყვების გამოთქმა. მესამე განყოფილებაში იაკინთე აბულაძის ექვსი წლის პატარა ნორამ წაიკითხა რამდენიმე ქართული ლექი. საზოგადოება აღტაკებით შეხვდა პატარა ბავშვის მიერ ლექსების მშვენივრად წაკითხვას. ქ-მა ჭრილაშვილმა იმღერა ქართული რომანსები. დასასრულ ითამაშეს ვოდევილი „უბედური დღე“. რომელიც მხიარულად ჩაატარეს და საზოგადოებაც ბევრი აცინეს.

— ი

ყვირილაში ქართველ მსახიობთა ამხანაგობა ზაფხულის სეზონი თითქმის ბოლომდე მიიყვანა ჯერ-ჯერობით გაიმართა 14 წარმოდგენა. ყველა წარმოდგენაზე შემოსავალი კარგი იყო. სეზონი გასტანს მარიამობისთვის 15-ამდე. 22 ივლისიდან დაიწყო ბენეფისები. პირველი ბენეფისი ამხანაგობამ უძღვნა ქ-ნ მარო მდივანის ასულს, როგორც ერთად ერთს ზიოძ ქალს ქართულ სცენაზე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს წარმოდგენილი იქმნა „ქრისტინე“, ეს ამხანაგობა შორაპანის მაზრაში თითქმის ყველა სოფელში მართავს წარმოდგენებს, კვირაში ოთხს მაინც. დასში ირიცხებიან: ქ. მარო მდივანი, ელ. ღ ღობერიძე. ბ. ბ. ვ. არაბიძე, ი. ბარველი, ა. სანდალიძე, ა. ყალაბეგიშვილი, ვ. ურუშ-ძე სუფლიორი გ. გურული და რამდენიმე სცენის მოყვარე.

ვე—ლი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა მოგზაურობას ფიქრობს პროვინციაში. რამდენიმე წარმოდგენას გამართავს სურამში, ბორჯომში, წაღვერში და ბაკურ ანში, შ. მდგე ამბასუმანსა და ახალციხეში. ქედან დასი შემოიელის რაჭა-ლეჩხუმს. ეს პირველი შემთხვევა იქნება აქეთ მხარეს დასის მოგზაურობისა.

გ ლი

დ. ახალ-სენაკში შაბათს, 18 ივლისს, სცენის მოყვარეებმა მსახიობ ვლ სარელის რეჟისორობით გარმთადგინეს „დასჯილი“ დრ. 2 მოქ, აწყურელისა და „მოფურჩხუულია“ ვოდ. 1 მოქ. დ. მესხისა. სცენის მოყვარენი, რამოდენიმეს გარდა, მოუზადებულნი ვერ იყვნენ. განსაკუთრებით ქალები სუსტობდნენ როლების უცოდინარობით. ქ-ნ ხერცილავას ასულმა (ნინა) ვერ განასხვიერა ფუქსავატ, თვისუფალ ნინოს პირფერები. ბ-ნი თებზაის ასულ ა (ელენე) როლი არ იცოდა. ბ-ნი სარელი (გერასიმე) თავის ალაგს ვერ იყო, ბ-ნი ბუხუტია დონ-ჟუანს (მოარუნეე „ვასოს“ როლში) სცენაზე თავისუფლად ვერ ეჭირა თავი. ბ-ნი ღვამირავა (ანაშვილი) პიესის მთავარ როლის (ნიკოს) დაკვირვებულ აღსრულებით, შესაფერი მიმიკით, ტემპერამენტით საერთოდ ყურადღებას იქცევდა.

ვოდევილში განსაკუთრებით კარგი იყო ბ-ნი ჭეიშვილი (სიკოია), რომელმაც სახოგადოება ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცინა, დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი: რამდენიმე ლექსი წაიკითხეს სცენის მოყვარეებმა. მასწავლებელმა კალანდარიშვილმა იასამანის ლექსები დაკვირვებით წარმოსთქვა. ანაშვილმა წაიკითხა რამოდენიმე საკუთარი ლექსი. განსაკუთრებით მოიწონეს მისი „შეშლილი ქალი“.

გვიან დაწყებული წარმოდგენა გვიან დასრულდა, ხალხი ნაკლებად დაესწრო.

მასწავლებელი

ს. ცხემლისხიდზე (გურია) 2 ივლისს გიმნაზიათა ჯაკის სადამო მგოსნის დაბადების დღის აღსანიშნავად. ბ. მ. სიბაშვილმა უკვიდეთ შემკულ ჯაკის დიდ სურათთან ყვავილოვანი გაკაკვები ენით წაიკითხა რეფერატი „ჯაკი—ჩაგრულთ მოსარჩლე“. წარმოდგენილნ „და-ძმა“ ვ. კუნიასი. წარმოდგენამ საკმოდ კარგად ჩაიარა, თუ მსეკულობაში მიგიდებთ სცენის მოყვარეებს, ისიც სოფლად. მოთამაშეთა შორის თავისი ბუნებრივი თამაშით აღსანიშნავია ე. ოთხმეზურისა (მარანე), კ. ზაკანაძე (ბაღდა), მ. სიბაშვილი (ადამა) და დ. გიორგაძე (ბაიაზი). ხელოვნურად შესრულეს სუფთა სიმღერობიდან. აქ თავისი მოხდენილი თამაშით ბ. ლომაშვილმა ბეგრი ადინა სიზაბავდა. დანარჩენი მოთამაშენი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ანტრაქტებში უკრავდა სკრიპკისა და გიტარის ორკესტრი. ხალხი ეუბრებოდა დასწრო და დადეთ ნახამოვნები დიაშვილ დამის ორ სიათზე. ეუსურეეს ტუმბოლ-ხიდის მოწინავე პირი კიდევ მეტი ენერგიაო კაძღოდდნენ ისეთ სიქმეს, როგორც არის სოფლად ეწარმოდგენა-სიდამოებს მარიეა, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დაბა-ჩაგებული ხალხის კონებრივ და ზნეობრივ კანეთიერებისთვის. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენშიაც აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც ისეთი კეთილი საქმის ჩაშლას ცდილობდნენ, მაგრამ არ გასწრა მათმა ხერხმა და ხალხის თვალში ზიზღი დიმსახურეს.

დამსწრე

წვრილი ამბები

მსახიობი ალ. იმედაშვილი ხვალ თელავს მიემგზავრება საგასტროლოდ. მისი მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „მარგარიტა გოტიე“ და „ოტელო“.

მგოსანი ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა წმ. ნინოს ლაზარეთში 27 ივლისს საღამოს შვიდ საათზე.

პირველი პანაშვიდი მგოსან ვაჟა-ფშაველას სულის მოსახსენებლად ქაშვეთის ეკლესიაში გადიხადეს 28 ივლისს, საღამოს 7 ს. პიტერიმ ექსარხოსის, ანტონ ეპისკოპოსისა და სამღვდელოების თანამსახურობით. პანაშვიდის დაწყებამდე ექსარხოსმა ფრიად გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. დაესწრო დიდძალი საზოგადოება—კულტურულ დაწესებულებათა, წოდებათა და პრესის წარმომადგენელნი და ხალხი. ცხედარი ესვენა ყინულოვან კუბოში. ზედ დასვენებული ჰქონდა ცოცხალ ყვავილთა თაიგული. პანაშვიდი ყოველ დღე იმართება.

ვაჟა-ფშაველას დასაკრძალვად 28 ივლ. საღამოს 8ს. ქართულ თეატრის ფოიეში შესდგა პრესის, კულტურულ დაწესებულებათა და წოდებათა წარმომადგენელების კრება. ერთხმად გადასწყვიტა: 1) მგოსანი დაიკრძალოს დიდების პანთეონში და 2) ხარჯები იკისროს ყველა კულტურულ დაწესებულებათა და ბანკებმა. დამკრძალავ ბიუროში აირჩიეს: ვ. ჯუნია, ნ. ერისთავი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ნაკაშიძე და პ. საყვარელიძე. გარდა ამისა ამავე ბიუროსთან იმუშავებს კომიტეტი, რომლის წევრებიც იქნებიან თითო კაცი კულტურულ დაწესებულებათა და ქართულ ეკონომიკა-ბანკებიდან.

ვაჟას გარდაცვალების გამო მრავალი დეპეშა მოდის რედაქციებს.

„ქართველ სიტყვა“-ს გაყიდვით თბილისში შეგროვდა 1,811 მან.

მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ გადიღო ვაჟა-ფშაველას სახე.

ვაჟა-ფშაველას ოჯახობის ჩამოსაყვანად, მთაში გაიგზავნა საგანგებო კაცი.

სახალხო სახლში ქართ. სახ. წარმოდგენების მმართველ წრის კრება შესდგა 27 ივლისს, კ. ხახანაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა გასული წლის ანგარიში და მოუვალი ხარჯთ აღრიცხვა. გაუმართავს 39 წარმოდგენა, შემოსავალი 8,288 მ. 83 კ., გასავალი 8180 მ. 80 კ. 1 ივნისისათვის ნაღდი—108 მ. 65 კ., ასაღები 700 მანათამდე. ი. გოგელიას მადლობა გამოუცხადეს გამგეობაში უსასყიდლოდ საქმის წარმოებისათვის. მიიღეს 42 ახალი წევრი, გამგეობის წევრებად აირჩიეს: ი. ბესელიძე, ი., გოგელია ევ., კოპალეიშვილი გ., მაკვარიანი ს., ნატრაშვილი ვ., საღირაშვილი და გ. ცინცაძე; სცენის მოყვარეთაგან—დ. ბაქრაძე, ელ. რომანიშვილი. კანდიდატებად: გ. ბეკიშვილი მანჯგალაძე და ი. ფარნიევი. სარეველთა კომისიის წევრებად: ტოხოშვილიძე ს., ი. ჯაბერია და ვ. ხახანაშვილი. დამტკიცეს 1915—16 წ. ხარჯთ აღრიცხვა —6656 მ. 99 კ., დაადგინეს ყურადღება მიექცეს კერძო პირთა წარმოდგენებს.

Дозволено Военной Цензурой

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გამოცემა

ეველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად ოდიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ბასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეიძლებოდა: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ეურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ **Іос. Имедашвили.**

ეჟერნალი

ბასალ

მიიღება 1915 წ. ნახევარი წლის ხელმოწერა

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ეურნალ

ილუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით

ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშეა.

ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.

ფ ა ს ი: წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., 1თვ. 40 თითო ნომერი **10** კაპ.

ხელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დღით 9—2 ს. **მიიღება განცხადებანი ეურნალში დასაბეჭდად. განცხადების ფასი:** ორიგებით, ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომგამცემი ანნა იმედაშვილისა

Типографія „Сорапань“ **სტამბა“ სორაპანი“**

თეგზის ძრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ № 9

ტელეფონი № 71-2.

განყოფილება ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძვეშ საკუთარ სახლში

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც კუშკინის ქუჩაზე

ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სმაზარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი. მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)

ქუთაისში

ქარხანები

ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

ასოციაციული ბ. ბ. ბ. ბ.

ფასიანი სიგარეტები

თბილისში

ახლახან გაიხსნა

ა ფ თ ი ა ქ ი

პროვიზორის ა.ს. ახვლედიანისა

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

1 მაისიდან ქალაქ თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კაკაბასკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „შაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინადა-წინ გადაიხადონ. წინაალმდეგ შემთხვევაში გზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკი, 6.

ჟ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო ნაწილს ხელმძღვანელობენ ე. ეშმაკი და **თ. ოთვენა**, ხოლო ეგზეკუტორად საქმეს ა. ბ. ბ. ეკუთვნის.

თანამშრომლები: ალბერტოვა, ბალანჩინი, ბ. ბ. ბ., ეშმაკი, ოსკარ, ანტონ, ანტონ-ანტონ, ბ. ბ. ბ., ბ. ბ. ბ., ბ. ბ. ბ.,